არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზისათვის 2021 წლის I კვარტალში ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესწავლის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

ა ქ ტ ი № 12

ქ. ფოთი *მაისი 2021 წელი*

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა." ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის N21/56 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის № 21/81 განკარგულების „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე, საკრებულოს ექსპერტ-სპეციალისტმა ა. იოსავამ შეისწავლა საკითხი **„ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზისათვის (შემდგომში დარბაზი) 2021 წლის I კვარტალში ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ"** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კამერალური მეთოდით.*

საკითხის შესწავლაში მონაწილეობას იღებდნენ დარბაზის დირექტორი გრიგოლ გაგუა და მთ. ბუღალტერი გალინა ცირამუა.

საკითხის შესწავლით დადგინდა შემდეგი:

დარბაზისათვის სულ გადასახდელების (ხარჯების) დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 17,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 2,3 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 19,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 15,6 ათ. ლარი, ე.ი. 3,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 80,8 პროცენტი.

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურების ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 14,4 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 0,2 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14,6 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 14,5 ათ. ლარი, ე.ი. 0,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,3 პროცენტი.

2. საქონელი და მომსახურების მუხლის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 2,6 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 2,1 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 4,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1,1 ათ. ლარი, ე.ი. 3,6 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 23,4 პროცენტი.

აქედან:

2.1. ოფისის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1,3 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 0,3 ათ. ლარი, ე.ი. 1,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 23,1 პროცენტი.

თანხა 312,84 ლარი გახარჯულია შემდეგი დანიშნულებით:

ა) შპს „მაგთიკომს" გადაერიცხა 203,57 ლარი მომსახურების საფასური;

ბ) სხვა დანარჩენებს გადაერიცხა 109,27 ლარი შეძენილი საქონლისა და გაწეული მომსახურების საფასური.

2.2. ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 0,6 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 0,2 ათ. ლარი, ე.ი. 0,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 33,3 პროცენტი.
შპს „რომპეტროლი საქართველოს“ გადაერიცხა 198,99 ლარი, საწვავის საფასური.

2.3. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 0,7 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 2,1 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 0,6 ათ. ლარი, ე.ი. 2,2 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 21,4 პროცენტი.

თანხა 600,00 ლარი გახარჯულია შემდეგი დანიშნულებით:

ა) შპს „ვიქტორია სექურიტს“ - გადაერიცხა 100,00 ლარი შენობის დაცვის საფასური;
ბ) საქ. თვითმმ. ერთ. ფინ. ასოციაციას - გადაერიცხა 500,00 ლარი საწევროს თანხა.

დარბაზს 2021 წლის 1 აპრილისათვის დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები არ ერიცხებოდა.

დარბაზის დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების დაფინანსებას 80,8 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 19,3 ათ. ლარი, საკასო შესრულება 15,6 ათ. ლარი, ანუ 3,7 ათ. ლარით ნაკლები.

ექსპერტ-სპეციალისტი: /ა. იოსავა/

დარბაზის დირექტორი: /გ. გაგუა/

ბუღალტერი: /გ. ცირამუა/

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრისათვის 2021 წლის I კვარტალში ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესწავლის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

ა ქ ტ ი № 13

ქ. ფოთი *მაისი 2021 წელი*

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა." ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის N21/56 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის № 21/81 განკარგულების „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე, საკრებულოს ექსპერტ-სპეციალისტმა ა. იოსავამ შეისწავლა საკითხი „ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრისათვის (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის I კვარტალში ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კამერალური მეთოდით.

საკითხის შესწავლაში მონაწილეობას იღებდნენ ცენტრის დირექტორი გიგლა თურქია და მთ. ბუღალტერი გალინა ცირამუა.

საკითხის შესწავლით დადგინდა შემდეგი:

ცენტრისათვის სულ გადასახდელების (ხარჯების) დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 91,6 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 2,9 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 94,5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 93,6 ათ. ლარი, ე.ი. 0,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,0 პროცენტი.

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურების ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 71,8 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 71,7 ათ. ლარი, ე.ი. 0,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,9 პროცენტი.

2. საქონელი და მომსახურების მუხლის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 19,8 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 2,9 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 22,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 21,9 ათ. ლარი, ე.ი. 0,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 96,5 პროცენტი.

აქედან:

2.1. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 19,8 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 19,7 ათ. ლარი, ე.ი. 0,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,5პროცენტი.

2.2. <u>ოფისის ხარჯების</u> დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 0,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 0,6 ათ. ლარი, ე.ი. 0,2 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 75,0 პროცენტი.

<u>თანხა 614,77 ლარი გახარჯულია შემდეგი დანიშნულებით:</u>

ა) <u>ი/მ „ვ. კობახიძეს“</u> გადაერიცხა 236,00 ლარი სამეურნეო საქონლის საფასური;

ბ) <u>სხვა დანარჩენებს</u> გადაერიცხა 378,77 ლარი შეძენილი საქონლისა და გაწეული მომსახურების საფასური.

2.3. <u>სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების</u> დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 2,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1,6 ათ. ლარი, ე.ი. 0,5 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 76,2 პროცენტი.

<u>თანხა 1600,00 ლარი გახარჯულია შემდეგი დანიშნულებით:</u>

ა) <u>შპს „ვიქტორია სექურიტს“</u> გადაერიცხა 100,00 ლარი შენობის დაცვის საფასური.

ბ) <u>საქ. ადგილობრ. თვითმმ. ერთ. ფინ. ასოციაციას</u> გადაერიცხა 1500,00 ლარი საწევროს თანხა.

<u>ცენტრს 2021 წლის 1 აპრილისათვის დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები არ ერიცხებოდა.</u>

<u>ცენტრის დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების დაფინანსებას 99,0 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 94,5 ლარი, საკასო შესრულება 93,6 ათ. ლარი, ანუ 0,9 ათ. ლარით ნაკლები.</u>

ექსპერტ-სპეციალისტი: /ა. იოსავა/

დარბაზის დირექტორი: /გ. თურქია/

ბუღალტერი: /გ. ცირამუა/

მშენებლობის სამუშაოებისათვის 2021 წლის I კვარტალში ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესწავლის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

აქტი № 14

ქ. ფოთი *მაისი 2021 წელი*

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა." ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის N21/56 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 2020 წლის 23 დეკემბრის № 21/81 განკარგულების „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე, საკრებულოს ექსპერტ - სპეციალისტმა ა. იოსავამ შეივისწავლე საკითხი „მშენებლობის სამუშაოებისათვის 2021 წლის I კვარტალში ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კამერალური მეთოდით.

საკითხის შესწავლაში მონაწილეობდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვასილ თოდუა, საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ნ. ჩხიკვაძე, საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი გ. გუჯაბიძე, უფროსი სპეციალისტი (ბუღალტერი) დ. აბაკელია.

საკითხის შესწავლით დადგინდა შემდეგი:

მშენებლობის სამუშაოებისათვის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 100,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 6687,1 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 6787,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2585,2 ათ. ლარი, ე.ი. 4201,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 38,1 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 2512,4 ათ. ლარით, გეგმაზე 4274,6 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 37,0 პროცენტი, დაფინანსდა 2585,2 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 4201,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 38,1 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 72,8 ათ. ლარით მეტი, ანუ 102,9 პროცენტი. სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაერიცხა 2585220,84 ლარი.

აღნიშნული სამუშაოების დაფინანსება დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

I. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასრუქტურის განვითარების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 100,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 6190,4 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 6290,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2259,3 ათ. ლარი, ე.ი. 4031,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 35,9 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 2323,6 ათ. ლარით, გეგმაზე 3966,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 36,9 პროცენტი, დაფინანსდა 2259,3 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 4031,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 35,9 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 64,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 97,4 პროცენტი. მათ შორის:

1. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 4353,7 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 1351,5 ათ. ლარით, გეგმაზე 3002,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 31,0 პროცენტი, დაფინანსდა 1308,2 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 3045,5 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 30,0 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 43,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 96,8 პროცენტი. სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაერიცხა 1308213,84 ლარი. აქედან:

1.1. გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 4278,8 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 1323,6 ათ. ლარით, გეგმაზე 2955,2 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 30,9 პროცენტი, დაფინანსდა 1280,3 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 2998,5 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 29,9 პროცენტი და ფაქტიურ

შესრულებაზე 43,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 96,7 პროცენტი. **სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაერიცხა 1280261,63 ლარი.**

მათ შორის:

ა) **სხვადასხვა ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1094,7 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 450,6 ათ. ლარით, გეგმაზე 644,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 41,2 პროცენტი, დაფინანსდა 357,3 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 737,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 32,6 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 93,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 79,3 პროცენტი. **თანხა 357299,42 გადაერიცხა შპს „Geogian Buld"- ს.**

ბ) **თავდადებულის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1033,9 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 495,6 ათ. ლარით, გეგმაზე 538,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 47,9 პროცენტი, დაფინანსდა 373,0 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 660,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 36,1 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 122,6 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 75,3 პროცენტი. **შპს „ჯორჯიან სტოუნს" გადაერიცხა 78875,71 ლარი; შპს „პალადას" გადაერიცხა 294087,26 ლარი.**

გ) **ბერდიანსკის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 399,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 51,6 ათ. ლარით, გეგმაზე 347,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 12,9 პროცენტი, დაფინანსდა 55,2 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 343,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 13,8 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 3,6 ათ. ლარით მეტი, ანუ 107,0 პროცენტი. **შპს „ბილტმორს" გადაერიცხა 55243,01 ლარი.**

დ) **თამარ მეფის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 699,3 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 215,4 ათ. ლარით, გეგმაზე 483,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 30,8 პროცენტი, დაფინანსდა 210,4 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 488,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 30,1 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 5,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 97,7 პროცენტი. **შპს „ჰაივეის" გადაერიცხა 210383,26 ლარი.**

ე) **იერუსალიმის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 737,50 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 69,0 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 668,5 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 9,4 პროცენტი. **შპს „ნიუპოვერს" გადაერიცხა 68952,00 ლარი.**

ვ) **კოკაიას ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 40,0 ათ. ლარს, რაზეც მოთხოვნა არ ყოფილა.

ზ) **წმ. გიორგისა და აკაკის ქუჩებს შორის მოწერელიას ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 83,3 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 62,3 ათ. ლარით, გეგმაზე 21,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 74,8 პროცენტი, და სრულად დაფინანსდა 62,3 ათ. ლარით. **შპს „ბესტ ტრანს" გადაერიცხა 62288,22 ლარი.**

თ) **წმ. გიორგისა და აკაკის ქუჩებს შორის გოგებაშვილისს ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 54,4 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 46,6 ათ. ლარით. **შპს „ბესტ ტრანს" გადაერიცხა 46612,33 ლარი.**

ი) **წმ. გიორგისა და აკაკის ქუჩებს შორის კოლხეთის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 66,3 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 48,1 ათ. ლარით, გეგმაზე 18,2 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 72,5 პროცენტი, და სრულად დაფინანსდა 48,1 ათ. ლარით. **შპს „ბესტ ტრანს" გადაერიცხა 48132,43 ლარი.**

კ) **წმ. გიორგისა და აკაკის ქუჩებს შორის შელიას ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 70,4 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 58,4 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 12,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 83,0 პროცენტი. **შპს „ბესტ ტრანს" გადაერიცხა 58387,96 ლარი.**

1.2. **საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების (სათვალთვალო ვიდეო კამერების მოწყობის)** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 74,9 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 27,9 ათ. ლარით, გეგმაზე 47,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 37,2 პროცენტი, და სრულად დაფინანსდა 27,9 ათ. ლარით. **შპს „დელტა კონსალტინგს" გადაერიცხა 27952,24 ლარი.**

2. **ბინათმშენებლობის გადასახდელების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 344,7 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 129,6 ათ. ლარით,

გეგმაზე 215,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 37,6 პროცენტი და დაფინანსდა 124,9 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 219,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 36,2 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 4,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 96,6 პროცენტი. **სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაერიცხა 124913,56 ლარი** შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

აქედან:

2.1. **მრავალსართულიანი ს/სახლების ფასადების, სახურავებისა და სადარბაზოების რეაბილიტაციის** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 344,7 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 129,6 ათ. ლარით, გეგმაზე 215,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 37,6 პროცენტი და დაფინანსდა 124,9 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 219,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 36,2 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 4,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 96,6 პროცენტი. **სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაერიცხა 124913,56 ლარი** შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

.მათ შორის:

ა) **მრავალბინიანი ს/სახლების სახურავების კაპ. შეკეთების გადასახდელების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 198,8 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 129,6 ათ. ლარით, გეგმაზე 69,2 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 65,2 პროცენტი და დაფინანსდა 124,9 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 73,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 62,8 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 4,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 96,4 პროცენტი. **სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაერიცხა 124913,56 ლარი** შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

ბ) **დ. აღმაშენებლის ქუჩის ს/სახლების რეაბილიტაციის სამუშაოების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 8,9 ათ. ლარს, რაზეც მოთხოვნა არ ყოფილა.

გ) **გ. ჭანტურიას ქუჩებზე მდებარე მრავალსართულიანი ს/სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 137,0 ათ. ლარს, რაზეც მოთხოვნა არ ყოფილა.

3. **კეთილმოწყობის ღონისძიებების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1342,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 784,7 ათ. ლარით, გეგმაზე 557,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 58,5 პროცენტი და დაფინანსდა 780,4 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 561,6 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 58,2 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 60,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,5 პროცენტი. **სხვადასხვა ორგანიზაციებს** გადაერიცხა **780437,12 ლარი** შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

აქედან:

3.1. **საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ხარჯების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1342,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 784,7 ათ. ლარით, გეგმაზე 557,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 58,5 პროცენტი და დაფინანსდა 780,4 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 561,6 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 58,2 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 60,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,5 პროცენტი. **სხვადასხვა ორგანიზაციებს** გადაერიცხა **780437,12 ლარი** შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

ა) **მრავალბინიანი ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობის გადასახდელების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 373,6 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 316,1 ათ. ლარით, გეგმაზე 57,5 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 84,6 პროცენტი და დაფინანსდა 322,6 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 51,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 86,3 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 6,5 ათ. ლარით მეტი ანუ 102,1 პროცენტი. **სხვადასხვა ორგანიზაციებს** გადაერიცხა **322594,60 ლარი** შესრულებული სამუშაოების ღირებულება

ბ) **მალთაყვის სასაფლაოს ძველი ღობის დემონტაჟი და ახალი ღობის მოწყობა, ასევე სასაფლაოსთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის შემოღობვის სამუშაოების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 58,6 ათ. ლარს, რაზეც მოთხოვნა არ ყოფილა.

გ) **ავტობუსების ავტოპარკის მშენებლობის სამუშაოების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 77,7 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 0,8 ათ. ლარით. **შპს „იმედს“ გადაერიცხა 784,36 ლარი.**

დ) ცენტრალური კულტურისა და დასვენების პარკის მოწყობის სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 618,9 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 468,6 ათ. ლარით, გეგმაზე 150,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 75,7 პროცენტი და დაფინანსდა 400,6 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 218,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 64,7 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 68,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 85,5 პროცენტი. *შპს „ჯორჯიან სტოუნს“ გადაერიცხა 400654,16 ლარი.*

ე) კუნძულის სანაპირო ზოლისა და მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 156,7 ათ. ლარს, რაზეც მოთხოვნა არ ყოფილა.

3.2 ატრაქციონებისა და ტრენაჟორების შეძენა-მონტაჟის ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 56,5 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 56,5 ათ. ლარით, *შპს „ჯთ დიზაინ მეტალს“* გადაერიცხა *56404,00 ლარი* შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

4. სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 50,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 57,8 ათ. ლარით, გეგმაზე 7,8 ათ. ლარით მეტი, ანუ 115,6 პროცენტი და დაფინანსდა 45,8 ათ. ლარით. *შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტს”* გადაერიცხა *45775,08 ლარი* შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

5. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსების ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 200,0 ათ. ლარს, რაზეც მოთხოვნა არ ყოფილა.

ინფრასტრუქტურის სამუშაოებს 2021 წლის 1 აპრილისათვის (პირველი კვარტალი) ერიცხებოდა:

ა) დებიტორული დავალიანება - არ ერიცხებოდა;

ბ) კრედიტორული დავალიანება - 96134,36ლარი.

II. დასუფთავება და გარემოს დაცვა

1. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის გადასახდელების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული და არც დაფინანსდა.

III. მომსახურება განათლების სფეროში

განათლების სფეროს სამუშაოების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 368,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 241,6 ათ. ლარი, ე.ი. 126,5 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 65,6 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 82,5 ათ. ლარით, გეგმაზე 285,6 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 22,4 პროცენტი და დაფინანსდა 241,6 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 126,5 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 65,6 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 159,1 ათ. ლარით მეტი, ანუ 292,8 პროცენტი. *სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაერიცხა 241612,42 ლარი. მათ შორის:*

1. სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 289,2 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 79,4 ათ. ლარით, გეგმაზე 209,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 27,5 პროცენტი და დაფინანსდა 171,7 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 117,5 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 59,4 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 92,3 ათ. ლარით მეტი, ანუ 216,2 პროცენტი. *სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაერიცხა 171629,45 ლარი. აქედან:*

1.1. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების სველი წერტილებისა და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 36,5 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 15,1 ათ. ლარით, გეგმაზე 21,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 41,4 პროცენტი და დაფინანსდა 14,4 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 22,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 39,5 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 0,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 95,4 პროცენტი. *შპს „ლაკადა-2016“ გადაერიცხა 14363,70 ლარი.*

1.2. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების შენობის სახურავების კაპ. რემონტის სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 105,9 ათ. ლარს, ფაქტიურად

სამუშაოების მოცულობა შესრულდა 49,8 ათ. ლარით, გეგმაზე 56,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 47,0 პროცენტი და დაფინანსდა 98,2 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 7,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 92,7 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 48,4 ათ. ლარით მეტი, ანუ 197,2 პროცენტი. **ი/მ „ზ. მესხიას“** გადაერიცხა **98177,54 ლარი** შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

1.3. **NN 10.11.15.17 სკოლამდელი დაწესებულებების ელ. სამონტაჟო სამუშაოების ხარჯების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 54,6 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 14,5 ათ. ლარით, გეგმაზე 39,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 26,7 პროცენტი და დაფინანსდა 12,9 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 41,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 23,8 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 1,6 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 89,0 პროცენტი. **შპს „ლაკადა-2016“ გადაერიცხა 12888,21 ლარი.**

1.4. **სკოლამდელი დაწესებულებების ელ. სამონტაჟო სამუშაოების ხარჯების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 92.5 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 46,2 ათ. ლარით, **სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გადაერიცხა 46200,00 ლარი.**

2. **საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 71,5 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 66,8 ათ. ლარით, **სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაერიცხა 66852,97 ლარი.**

3. **საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 7,4 ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 3,1 ათ. ლარით, რაც სრულად დაფინანსდა 3,0ათ. ლარით. **შპს „გ. ტრანს“** გადაერიცხა **3130,00 ლარი** მომსახურების ღირებულება.

განათლების სფეროს 2021 წლის 1 აპრილისათვის (პირველი კვარტალი) ერიცხებოდა:

ა) დებიტორული დავალიანება - 46200,00 ლარი;

გ) კრედიტორული დავალიანება - 1483,31 ლარი.

IV. მომსახურება კულტურისა და სპორტის სფეროში

კულტურისა და სპორტის სფეროს სამუშაოების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 128,6 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 84,3 ათ. ლარი, ე.ი. 44,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 65,6 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 106,3 ათ. ლარით, გეგმაზე 22,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 82,7 პროცენტი და დაფინანსდა 84,3 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 44,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 65,6 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 22,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 79,3 პროცენტი. **სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაერიცხა 84268,82 ლარი.** **აქედან:**

1. **კაპ. დაბანდებები სპორტის სფეროში ხარჯების (მინი სპორტული მოედნების კაპ. შეკეთება)** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 98,5 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 106,3 ათ. ლარით, გეგმაზე 7,8 ათ. ლარით მეტი, ანუ 107,9 პროცენტი და დაფინანსდა 84,3 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 14,2 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 85,6 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 22,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 79,3 პროცენტი. **შპს „სამტრედმშენს“ გადაერიცხა 84268,82 ლარი.**

მათ შორის:

ა). **მინი სპორტული მოედნების კაპ. შეკეთების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 88,2 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 106,3 ათ. ლარით, გეგმაზე 18,1 ათ. ლარით მეტი, ანუ 120,5 პროცენტი და დაფინანსდა 84,3 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 3,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 95,6 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 22,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 79,3 პროცენტი. **შპს „სამტრედმშენს“ გადაერიცხა 84268,82 ლარი.**

გ) **ნინო ჟვანიას ქუჩაზე სპორტ.დარბაზის შეკეთების ხარჯების** დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 10,3 ათ. ლარს, რაზეც მოთხოვნა არ ყოფილა.

2. კაპ. დაბანდებები კულტურის სფეროში ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 30,1 ათ. ლარს, რაზეც მოთხოვნა არ ყოფილა.

კულტურა და სპორტის სამუშაოებს 2021 წლის 1 აპრილისათვის (პირველი კვარტალი) დავალიანებები არ ერიცხებოდა.

ა) დებიტორული დავალიანება - 22026,00 ლარი;

ბ) კრედიტორული დავალიანება - არ ერიცხებოდა.

V. მომსახურება ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში

ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს სამუშაოების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული და არც დაფინანსდა.

მშენებლობის სამუშაოებს 2021 წლის 1 აპრილისათვის (პირველი კვარტალი) მთლიანობაში ერიცხებოდა:

ა) დებიტორული დავალიანება - 46200,00 ლარი;

ბ) კრედიტორული დავალიანება - 97617,67 ლარი.

მთლიანობაში მშენებლობის სამუშაოები შესრულებულია 38,1 პროცენტით დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 6787,12 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 2585,2 ათ. ლარი, ე.ი. 4201,9 ათ. ლარით ნაკლები. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 2512,4 ათ. ლარით, გეგმაზე 4274,6 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 37,0 პროცენტი, დაფინანსდა 2585,2 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 4201,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 38,1 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 72,8 ათ. ლარით მეტი, ანუ 102,9 პროცენტი.

ექსპერტ -კონსულტანტი: /ა. იოსავა/

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი /ვ. თოდუა/

საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი /ნ. ჩხიკვაძე /

საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი /გ. გუჯაბიძე/

უფროსი სპეციალისტი (ბუღალტერი) /დ. აბაკელია/

ინფრასტრუქტურის სამუშაოებისათვის
2021 წლის I კვარტალში ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის
მდგომარეობის შესწავლის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

აქტი № 15

ქ. ფოთი *მაისი 2021 წელი*

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა." ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის N21/56 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 2020 წლის 23 დეკემბრის № 2/81 განკარგულების „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე, საკრებულოს ექსპერტ - სპეციალისტმა ა. იოსავამ შეისწავლა საკითხი „ინფრასტრუქტურის სამუშაოებისათვის 2021 წლის I კვარტალში ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კამერალური მეთოდით.

საკითხის შესწავლაში მონაწილეობდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვასილ თოდუა, საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ნ. ჩხიკვაძე, საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი გ. გუჯაბიძე, უფროსი სპეციალისტი (ბუღალტერი) დ. აბაკელია.

საკითხის შესწავლით დადგინდა შემდეგი:

ინფრასტრუქტურის სამუშაოებისათვის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 167,5 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 47,5 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 215,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 184,7 ათ. ლარი, ე.ი. 30,3 ათ. ლარი ნაკლები, ანუ 85,9 პროცენტი. ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 184,7 ათ. ლარით და სრულად დაფინანსდა 184,7 ათ. ლარით. სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაერიცხა 184768,83 ლარი შესრულებული სამუშაოების ღირებულება. მათ შორის:

1. განათება, აქედან: გარე განათების ელ. ენერგიის ხარჯების ანაზღაურების გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 195,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 174,0 ათ. ლარით, გეგმაზე 21,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 89,2 პროცენტი და სრულად დაფინანსდა 174,0 ათ. ლარით. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" გადაერიცხა 174053,26 ლარი გარე განათების ელ. ენერგიის ღირებულება.

2. სანიაღვრე არხებისა და სატუმბო სადგურების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. აქედან: სატუმბო სადგურების ელ. ენერგიის ხარჯების ანაზღაურების გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 12,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 10,7 ათ. ლარით, გეგმაზე 1,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 85,6 პროცენტი და სრულად დაფინანსდა 10,7 ათ. ლარით. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" გადაერიცხა 10715,57 ლარი, სატუმბო სადგურების მოხმარებული ელ. ენერგიის ღირებულება.

3. ბინათმშენებლობა, აქედან: - მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების მოვლა-პატრონობის გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 7,5 ათ. ლარს, რაზეც მოთხოვნა არ ყოფილა.

ინფრასტრუქტურის სამუშაოებს 2021 წლის 1 აპრილისათვის დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები არ ერიცხებოდა.

მთლიანობაში ინფრასტრუქტურის სამუშაოების დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების დაფინანსებას 85,9 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 215,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 184,7 ათ. ლარი, ე.ი. 30,3 ათ. ლარი ნაკლები, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 184,7 ათ. ლარით და სრულად დაფინანსდა 184,7 ათ. ლარით.

ექსპერტ -კონსულტანტი: /ა. იოსავა/

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: /ვ. თოდუა/

საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი: /ნ. ჩხიკვაძე/

საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი: /გ. გუჯაბიძე/

უფროსი სპეციალისტი (ბუღალტერი): /დ. აბაკელია/

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისათვის 2021 წლის I კვარტალში ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესწავლის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

ა ქ ტ ი № 16

ქ. ფოთი *მაისი 2021 წელი*

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა." ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის N21/56 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 2020 წლის 23 დეკემბრის № 21/81 განკარგულების „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე, საკრებულოს ექსპერტ - სპეციალისტმა ა. იოსავამ შეისწავლა საკითხი „ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისათვის (შემდგომში ჯანდაცვა) 2021 წლის I კვარტალში ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კამერალური მეთოდით.

საკითხის შესწავლაში მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვასილ თოდუა, საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ნ. ჩხიკვაძე, საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი გ. გუჯაბიძე, უფ. სპეციალისტი (ბუღალტერი) მ. ჯანელიძე და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი მ. მაკალათია.

საკითხის შესწავლით დადგინდა შემდეგი:

ჯანდაცვის პროგრამების (სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში) გადასახდელების (ხარჯები) დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 166,1 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 1,1 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 167,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 108,3 ათ. ლარი, ე.ი. 58,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 64,8 პროცენტი.

პროგრამების მიხედვით გადასახდელების დაფინანსება დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

1. მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 80,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 1,1 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 81,1 ათ. ლარი, ფაქტიურად დაფინანსდა 55,0 ათ. ლარით, ე.ი. 26,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 67,8 პროცენტი. სულ გადარიცხულია 54945,00 ლარი, დახმარება გაეწია 96 მოქალაქეს.

2. მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 47,1 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 47,0 ათ. ლარით, ე.ი. 0,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,8 პროცენტი. სულ გადარიცხულია 47035,00 ლარი მედიკამენტების საფასური - დახმარება გაეწია 582 მოქალაქეს.

3. სასმელი, სარეკრეაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 10,0 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 2,3 ათ. ლარით, ე.ი. 7,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 23,0 პროცენტი. *შპს „ლაბ. კვლევის ცენტრს“ გადაერიცხა 2314,00 ლარი, ჩატარებული ანალიზის საფასური.*

4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 24,0 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 2,0 ათ. ლარით, ე.ი. 22,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 8,3 პროცენტი. *ბრძანებების საფუძველზე დახმარება გაეწია 1 მოზარდს 2000,00 ლარით.*

5. ფენიკეტონურით დაავადებულთა კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 5,0 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 2,0 ათ. ლარით, ე.ი. 3,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 40,0 პროცენტი. *ბრძანების საფუძველზე დახმარება გაეწია 2 მოზარდს 2000,00 ლარით.*

6. კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენიფიციართა დახმარების ხარჯების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული და არც დაფინანსდა.

7. დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის ხარჯების დაფინანსება გეგმით არ ყოფილა გათვალისწინებული და არც დაფინანსდა.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებს 2021 წლის 1 აპრილისათვის დავალიანებები არ ერიცხებოდა.

სულ აღნიშნული მონაცემები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გვიჩვენებს გადასახდელების დაფინანსებას 64,8 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 167,2 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 108,3 ათ. ლარით, ე.ი. 58,9 ათ. ლარით ნაკლები.

ექსპერტ - სპეციალისტი: /ა. იოსავა/

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი /ვ. თოდუა/

საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი /ნ. ჩხიკვაძე/

საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი /გ. გუჯაბიძე/

უფრ. სპეციალისტი (ბუღალტერი) /მ. ჯანელიძე/

შეთანხმებულია:
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი /მ. მაკალათია/

სოციალური დაცვის პროგრამებისათვის 2021 წლის I კვარტალში ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესწავლის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

აქტი № 17

ქ. ფოთი *მაისი 2021 წელი*

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა." ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის N21/56 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 2020 წლის 23 დეკემბრის № 21/81 განკარგულების „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე, საკრებულოს ექსპერტ - სპეციალისტმა ა. იოსავამ შეისწავლა საკითხი **„სოციალური დაცვის პროგრამებისათვის (შემდგომში სოციალური დაცვა) 2021 წლის I კვარტალში ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ"** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კამერალური მეთოდით.*

საკითხის შესწავლაში მონაწილეობას იღებდნენ *ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვასილ თოდუა, საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ნ. ჩხიკვაძე, საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი გ. გუჯაბიძე, უფ. სპეციალისტი (ბუღალტერი) მ. ჯანელიძე და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი მ. მაკალათია.* ***საკითხის შესწავლით დადგინდა შემდეგი:***

სოციალური დაცვის პროგრამების გადასახდელების *დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 196,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 199,5 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 395,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 185,7 ათ. ლარი, ე.ი. 210,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 46,9 პროცენტი.*

პროგრამების მიხედვით გადასახდელების დაფინანსება დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

*1. **ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამის ხარჯების** დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 109,6 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 0,6 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 110,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 86,7 ათ. ლარი, ე.ი. 23,5 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 78,7 პროცენტი. **მათ შორის:***

*1.1 **მარტოხელა დედათა ყოველთვიური დახმარების პროგრამის ხარჯების** დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 14,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 12,2 ათ. ლარი, ე.ი. 1,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 87,1 პროცენტი. **ბრძანებების საფუძველზე დახმარება გაეწია 76 მარტოხელა დედას 12250,00 ლარით.***

*1.2. **2008 წლის აგვისტოს რუსეთის აგრესიის შედეგად სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულთა ოჯახების ყოველთვიური მატერიალური დახმარების ხარჯების** დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 2,4 ათ. ლარს, რაც სრულად დაფინანსდა. **ბრძანებების საფუძველზე დახმარება გაეწია 4 ოჯახს 2400,00 ლარით.***

*1.3. **ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამის ხარჯების** დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 4,5 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 3,4 ათ. ლარით ე.ი. 1,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 75,6 პროცენტი. **ბრძანებების საფუძველზე დახმარება გაეწია 34 ოჯახს 3400,00 ლარით.***

*1.4. **მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარების პროგრამის ხარჯების** დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 61,5 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 51,7*

ათ. ლარით ე.ი. 9,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 84,1 პროცენტი. **ბრძანებების საფუძველზე დახმარება გაეწია 254 ოჯახს 51660,00 ლარით.**

1.5. უსინათლოებისა და ყრუ-მუნჯთა მატერიალური დახმარების პროგრამის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 9,5 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 7,2 ათ. ლარით, ე.ი. 2,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 75,8 პროცენტი. **ბრძანებების საფუძველზე დახმარება გაეწია საშუალოდ 39 მოქალაქეს 7150,00 ლარით.**

1.6. შშმ ბავშვთა დღის ცენტრის კომუნალური გადასახადების ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2,2 ათ. ლარს, რაზეც მოთხოვნა არ ყოფილა.

1.7. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზის პროგრამაში მონაწილეთა ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 13,6 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 9,3 ათ. ლარით, ე.ი. 4,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 68,4 პროცენტი. **ბრძანებების საფუძველზე დახმარება გაეწია საშუალოდ 21 მოქალაქეს 9300,00 ლარით.**

1.8. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ამავე ომის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა მატერიალური დახმარების ხარჯების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული და არც დაფინანსდა.

1.9. უსინათლოებისათვის წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შეძენის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 2,0 ათ. ლარს, რაზეც მოთხოვნა არ ყოფილა.

1.10. სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 0,5 ათ. ლარს, რაც სრულად დაფინანსდა. **ბრძანების საფუძველზე დახმარება გაეწია 1 სტუდენტს 500,00 ლარით.**

1.11. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიების ხარჯების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული და არც დაფინანსდა.

1.12. ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ხარჯების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული და არც დაფინანსდა.

2. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში - ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 86,7 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 186,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 272,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 87,4 ათ. ლარი, ე.ი. 185,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 32,0 პროცენტი.

მათ შორის:

2.1. კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების პროგრამის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 11,4 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 5,7 ათ. ლარით ე.ი. 5,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 50,0 პროცენტი. **დახმარება გაწეული იქნა 20 შემთხვევაში 5714,57 ლარით. აქედან:**

ა) **სარიტუალო მომსახურების პროგრამის (ტრანსფერი) ხარჯების** დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 2,4 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 2,3 ათ. ლარით ე.ი. 0,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 95,8 პროცენტი. სულ გადარიცხულია **2316,05 ლარი** მომსახურების საფასური, **დახმარება გაწეული იქნა 8 შემთხვევაში.**

ბ) **სარიტუალო მომსახურების პროგრამის (ადგილობრივი ბიუჯეტი) ხარჯების** დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 9,0 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 3,4 ათ. ლარით ე.ი. 5,6 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 37,8 პროცენტი. **დახმარება გაწეული იქნა 12 შემთხვევაში, გადარიცხულია 3398,52 ლარი (რ. შამათავა) მომსახურების საფასური.**

2.2. სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 21,9 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 15,6 ათ. ლარით, ე.ი. 6,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 71,2 პროცენტი. **ბრძანებების საფუძველზე დახმარება გაწეული იქნა 118 შემთხვევაში 15600,00 ლარით.**

2.3. განსაკუთრებით მძიმე საცხ. პირობებში, ასევე უბედური შენთხვ. და სტიქიური მოვლენ. შედეგად დაზარ. ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 12,5 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 1,0

ათ. ლარით, ე.ი. 11,5 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 8,0 პროცენტი. ბრძანებების საფუძველზე დახმარება გაწეული იქნა 1 შემთხვევაში 1000,00 ლარით.

2.4. მძიმე სოც. ეკონ. პირობებში მარტოდ მცხოვრ. სოც. დაუცველი, პენსიონერი მოქალაქეებისთვის გაზიფიც. ხელშეწყობის პროგრამის ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1,0 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 0,6 ათ. ლარით, ე.ი. 0,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 60,0 პროცენტი. ბრძანებების საფუძველზე დახმარება გაწეული იქნა 1 შემთხვევაში 560,00 ლარით.

